დიდი მოამაგის ხსოვნას

იაკობ გოგებაშვილი ეკუთვნის იმ სახელოვან ქართველთა ჯგუფს, რომელნიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში სანთელივით იწვოდნენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის. თუ ცარიზმის მძვინვარე, ტლანქმა და უხეშმა პოლიტიკამ ვერ შესძლო ქართველებში საბოლოოდ ჩაექრო ეროვნული სული, ეს, სხვათა შორის, იაკობის თავდადებული მოღვაწეობის წყალობითაც იყო. მისი უკვდავი „დედა ენა“ მოზარდ ქართველობას უნერგავდა სამშობლოსადმი სიყვარულს, დედის რძესავით ასაზრდოებდა მის ნორჩ აზრს, სათუთ გრძნობას და ბავშვურ ნებისყოფას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რაც უნდა ხანგრძლივი იყოს იგი, ვერ განთავისუფლდება ქართველი იმ შთაბეჭდილებისაგან, რომელიც მასში გამოუწვევია „დედა ენის“ პირველად ხელში აღებას. ყველაზე ადრე „დედა ენამ“ გაგვაგებინა ჩვენ, რომ ქართველები ვართ, წარნარი და მუსიკალური ქართული ენით მოსაუბრენი, მდიდარი ხალხური და მწიგნობრული ლიტერატურის შემქმნელნი. იაკობმა „ბუნების კარმა“ პირველად გაგვიღო ბუნების საიდუმლოებათა კარი, მან პირველმა გადაგვიშალა თვალწინ ჩვენი კეკლუცი ქვეყნის რუკა და მისი კუთხეების ნაირნაირობა, მან პირველმა მოგვითხრო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი შინაარსიანი ისტორიის წარმტაცი ეპიზოდები. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ ქართველი ბავშვი, რომელიც „მუნჯური“ მეთოდის წყალობით გულაყრილი იყო რუსულ ენაზე, „ბუნებრივი“ და ნორმალური გზით მიჰყავდა დიდი რუსი ხალხის მხატვრულ სიტყვასთან.

ყველა ამისათვის უკვდავი უნდა იყოს და არის კიდევაც იაკობის სახელი მადლიერი შთამომავლობის ხსოვნაში.

პროფ. შ. ძიძიგური

(საქდეხი).